საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4499
17/08/2022

4499-21-2-202208171143

შპს „სერვისცენტრს“
ელ.ფოსტა: speckomforti@mail.ru

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3372 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. წეროვნის მიმდებარედ, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილ დოკუმენტში ვერ ხერხდება საპროექტო ტერიტორიის მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის (72.08.30.422) იდენტიფიცირება;
- დოკუმენტის გენ-გეგმაზე დატანილია სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის შემადგენელი ობიექტები, თუმცა, მითითებული არ არის მათი განთავსების GPS კოორდინატები;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, „საწარმოო დანიშნულების წყალი, ხელშეკრულების საფუძველზე, მიიღება შპს „სპეცკომფორტისგან“, რომელიც ფლობს ლიცენზიას ჭაბურღილიდან წყლის მოპოვებაზე“. დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია საწარმოო დანიშნულებით, ობიექტზე წყლის მიწოდების ტექნიკური გადაწყვეტის შესახებ;
- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს სალექარში წარმოქმნილი შლამის შემდგომი მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ, „ტექნოლოგიური პროცესის აღწერის“ თავში აღნიშნულია, რომ „საწარმოში მიმდინარეობს ღორღის ერთჯერადი მსხვრევა მშრალი მეთოდით“, თუმცა „წყალსარგებლობის“ თავში მითითებულია, რომ „ნედლეულის გადამუშავების დროს ხდება სამსხვრევის ღია ნაწილის დანამვა, მისგან მტვრის გამოყოფის შემცირების მიზნით“. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების მეთოდი (მშრალი/სველი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული

შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო